

**აბრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტი**

**2015 წლის
სამეცნიერო ანგარიში**

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – პროფესორი გ. ქვარცხავა

**I. 3.სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი)დაფინანსებული
სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

I. 4.

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
	“ეროზიულ-ღვარცოფული მოვლენების თეორიული კვლევა” ინჟინერია, ჰიდროინჟინერია	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ი. ყრუაშვილი	ი. ინაშვილი ე. კუხალაშვილი კ. ბზიავა
ღვარცოფსაცავების პარამეტრების ცვლილების კანონზომიერების დადგენა დაგაანგარიშების მეთოდების სრულყოფა ისეთ ოპერატიულ საშუალებებს მოითხოვს, რომლის გამოყენებით სრულყოფილად აღწერილი იქნება მასში განთავსებული ღვარცოფული მასის მდგრადობის რღვევისა და დაძვრის პროცესის მექანიზმი. ხარისხობრივი ფუნქციების გამოყენებით მიღებულია ღვარცოფსაცავში დაგროვილი ღვარცოფული მასის სიმაღლის, ღვარცოფის ხარჯისა და მისი გადაადგილების სიჩქარის საანგარიში დამოკიდებულებები. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ თეორიულად და ექსპერიმენტული მასალის საფუძველზე მიღებულ K -ს მნიშვნელობებს შორის განსხვავება არ აღემატება 10%-ს.				

II.1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
დ. თავხელიძე, ზ. მჭედლიშვილი, მ. რაზმაძე	მოდრობის მრავალი თავისუფლების ხარისხის ბერკეტული მექანიზმების კინემატიკური და ძალოვანი ანალიზი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2015წ.	185 გვერდი
<p>ნაშრომში ამოხსნილია უკუ და პირდაპირი გეომეტრიული ამოცანები ხუთრგოლა და ტრიპოდული მექანიკური სისტემებისათვის და, როგორც შედეგი, ხუთრგოლა მექანიზმებისათვის გადაჭრილია ძალოვანი ანალიზის ამოცანა, რაც ამ სახის მექანიზმების შემადგენელი რგოლების სიმტკიცეზე გაანგარიშების საფუძველია.</p>			

სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ნათიშვილი ი. ყრუაშვილი გ. გავარდაშვილი ი. ინაშვილი	მეთოდური რეკომენდაციები ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირებისათვის (ჰიდრაულიკური გაანგარიშებები)	ქ. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	50
<p>„მეთოდურ რეკომენდაციებში“ განხილულია ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების პროექტირების პრინციპები, ბმული ღვარცოფული ნაკადის დამრტყმელი ძალის განსაზღვრა ყრუ და გამჭოლ ღვარცოფგადაძლიებელ ნაგებობაზე, ბმული ღვარცოფის გამოტანის კონუსზე გაფართოება და გაჩერება, ღვარცოფული ნაკადის ამმადლებელი უკუტალღის სიმაღლის განსაზღვრა განივ ყრუ ზღუდარზე და ზვავისებრი ბმული ღვარცოფული ნაკადის დინამიკური მახასიათებლების პროგნოზი.</p> <p>„მეთოდურ რეკომენდაციებში“ გათვალისწინებული მოთხოვნები უნდა სრულდებოდეს ღვარცოფსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობების პროექტირების, ღვარცოფულ რეგიონებში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისა და ასევე, მშენებლობისთვის</p>				

ნატარებული საინჟინრო კვლევების დროს.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	გ. ტყემალაძე	ლაბორატორიული სამუშაოები ბიოქიმიაში (დამხმარე სახელმძღვანელო)	სტუ-ს ბიბლიოთეკა ელექტრონული ვერსია CD 2632	106

ნაშრომში განხილულია ძირითადი ბიომოლეკულების - ცილების, ამინომჟავების, ნუკლეინის მუავების, ნახშირწყლების, ვიტამინების, ფერმენტების თვისებრივი რეაქციები და რაოდენობრივი განსაზღვრის თანამედროვე მეთოდები. მოცემულია თითოეული მეთოდის არსი, რეაქტივები და მასალები, ხელსაწყო-აპარატურა, ცდის მსვლელობა და მიღებული შედეგების გაფორმება.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	გ. ტყემალაძე	ბიორგანული ქიმია (განმარტებითი ლექსიკონი)	სტუ-ს ბიბლიოთეკა ელექტრონული ვერსია CD 2744	350

ლექსიკონში წარმოდგენილია ორი ათასზე მეტი ლექსიკური ერთეული ბიორგანული ქიმიიდან და მომიჯნავე დისციპლინებიდან: ორგანული ქიმია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, აგრარული მეცნიერებები, აგრეთვე ყველა იმ დარგიდან, რომლებსაც გარკვეული შეხება აქვს ბიორგანული ქიმიის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებთან. ლექსიკონი შედგენილია განმარტებითი ლექსიკონების მიმართ არსებული ყველა ძირითადი მოთხოვნის გათვალისწინებით.

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	დ. თავხელიძე, ზ. მჭედლიშვილი, მ. რაზმაძე	მოდრაობის მრავალი თავისუფლების ხარისხის ბერკეტული მექანიზმების კინემატიკური და ძალოვანი ანალიზი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2015წ.	185 გვერდი

სახელმძღვანელო დაწერილია სტუ-ს დიზაინის სკოლის სტუდენტებისათვის, რის გამოც წიგნი შედგენილია ინგლისურ ენაზე და ფაკულტეტზე (სკოლაში) დამტკიცებული სილაბუსის მიხედვით.

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ი.ყრუაშვილი ი.ინაშვილი ი.კლიშიაშვილი	“ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერები საპროექტო პარამეტრების კომპიუტერული მოდელირება”. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება”		თბილისი	4 გვ.
<p>ნაშრომში მიღებული დამოკიდებულებებით და კომპიუტერული პროგრამა DEBFLOW-ს გამოყენებით შესაძლებელია დრეკადი ღვარცოფსაწინააღმდეგო ბარიერების საპროექტო პარამეტრების გაანგარიშება კონსტრუქციის მახასიათებლების, მასზე მოსული დატვირთვის, სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტისა და ღვარცოფული კერიდან დაძრული მასის მახასიათებლების დროსთან კავშირში გათვალისწინებით.</p>					

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	ე. კუხალაშვილი ი. ინაშვილი კ. ბზიავა ი.ყრუაშვილი დ.ლორთქიფანიძე	“ღვარცოფსადინარში ტალღურად მოძრავი ბმული ღვარცოფის მახასიათებლების დადგენა”. ჰიდროინჟინერია	№ 1-2 (19-20)	თბილისი, საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”	5 გვ.
<p>მთის რელიეფის პირობებში კაშხლის გარღვევა იწვევს დიდი გამრეცხი ენერჯის მქონე გამრღვევი ტალღის წარმოქმნას, რომელიც სწრაფად გარდაიქმნება ღვარცოფულ ნაკადად. ნაშრომში მიმდინარეობს მცდელობა გადაწყვეტილ იქნას ღვარცოფული ნაკადის ერთი მიმართულების გრძივი ტალღების გაანგარიშების საკითხი. მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას ნაკადის სიმაღლე ტალღის სიმაღლის გათვალისწინებით, როგორც რეოლოგიური მახვენებლის გათვალისწინებით, ისე მათ გარეშე.</p>					
№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
3	G. Tkemaladze B. Dochviri. G. Sokhadze. K.Makhashvili	О Кинетике Бимолекулярной Химической Реакции	vol.76, num.4	Georgian Engineering News, Georgia	7
<p>ფერმენტულ კინეტიკაში მისაყვამის-მენტენის განტოლების გამოყენებით აგებულია ფერმენტული რეაქციის აღმწერი სტოქასტიკური მოდელი. უმცირეს კვადრატთა მეთოდით</p>					

მიღებულია განტოლების ორი უცნობი პარამეტრის სტატისტიკური შეფასებების ცხადი გამოსახულებები. მოტანილია მუდმივების გამოთვლის საილუსტრაციო რიცხვითი მაგალითები.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
4	გ. ტყემალაძე გ. ქვარცხავა	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი აგრარულ პოლიტიკაში		ქართული პოლიტიკა - საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები, 2015.	9

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოქიმიური კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს აგრარულ ტექნოლოგიებში, ცხოველებისა და ფრინველთა დაბალანსებულ კვებაში, სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებში. აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და, უპირველესად, აგროკულტურებისა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიებში, საკვებწარმოებასა და ვეტერინარიაში აუცილებელია ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდებისა და მიდგომების დამუშავება, რასაც, თავის მხრივ, საფუძვლად უნდა დაედოს კვლევის ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური შესაძლებლობები.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
5	გ. ტყემალაძე, ქ. მახაშვილი	მზის ენერჯის ბიოლოგიური კონვერსია	აკადემიკოს ი.ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა - შრომები.		7

გლობალური დათბობა, გაეროს უახლესი მონაცემების თანახმად, მრავალ საშიშროებას უქმნის დედამიწას, უშუალოდ ადამიანის ჯანმრთელობას, მის კეთილდღეობას, აგრეთვე ცხოველებსა და მცენარეებს.

ნაშრომში განხილულია ის ბიოქიმიური ღონისძიებები, რომლებიც გაზრდის მცენარეთა ბიოლოგიურ პოტენციალს, კერძოდ, მათს ფოტოსინთეზურ და ენერგეტიკულ შესაძლებლობებს და, ამდენად, ხელს შეუწყობს როგორც გვაღვებისადმი გამძლეობას, ისე მეტ წინააღმდეგობას გაუწევს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციების მატებას. მზის ენერგია ეკოლოგიურად სუფთაა და მისი გარდაქმნა ქიმიური ნივთიერებების ენერგიად სორციელდება მხოლოდ მცენარეული ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ეფექტური მექანიზმით - ფოტოსინთეზით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
6	ბ. ტყემალაძე	გლობალური დათბობისაგან ცოცხალი სამყაროს დაცვის ბიოქიმიური საფუძვლები	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება – შრომები, 2015	თბილისი,	10

სამყაროს გლობალური დათბობის შესახებ არსებობს ორი, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება. პირველის თანახმად, გლობალური დათბობა სამყაროს დამღუპველია და ანთროპოგენური საქმიანობით არის განპირობებული. მეორე მოსაზრების თანახმად, გლობალური დათბობა მითია, განეკუთვნება პერიოდულად განმეორებადი ბუნებრივი კატაკლიზმების რიცხვს და, ამდენად, სამყაროს მისგან განადგურება არ ემუქრება. ამ შეხედულებების ავტორები და თანამოაზრეები ერთში თანხმდებიან – გლობალური დათბობა დედამიწის კლიმატური სისტემის – ოკეანეების, ზღვებისა და ხმელეთის ზედაპირზე - საშუალო ტემპერატურის ყოველწლიური ზრდით არის განპირობებული.

მოსხენებაში წარმოდგენილია თანამედროვე მონაცემები კლიმატზე გლობალური დათბობის დამღუპველი ზემოქმედების შესახებ. გამოთქმულია მოსაზრებები იმ აუცილებელი ქიმიურ-ბიოლოგიური კვლევების აუცილებლობაზე, რომლებმაც გარკვეულად უნდა შეარბილონ მაღალი ტემპერატურების გავლენა ცოცხალ ორგანიზმებზე, განსაკუთრებით, მცენარეულ სამყაროზე.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	------------------	---	--------------------------	--------------------------------	---------------------

7	გ. გაგოშიძე გ. ჯაფარიძე გ. ჭყონია	სატყეო განათლება და მისი განვითარების პერსპექტივები საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე	№34	თბილისი	4
---	---	---	-----	---------	---

ნაშრომში განხილულია სატყეო განათლების რეფორმა საქართველოში და მისი განვითარების პერსპექტივები.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
8	გ. გაგოშიძე გ. ჯაფარიძე რ. ჩაგელიშვილი	სატყეო მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების პრინციპები. სამეცნიერო ჟურნალი ქართული პოლიტიკა, მიმართულება – “საქართველოს აგრარული პოლიტიკის აქტუალური პრობლემები”		თბილისი	6

ნაშრომში მოცემულია სატყეო დარგის დღევანდელი მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების სატყეო-სამეურნეო ღონისძიებათა სისტემა.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
9	რ. ჭედია ნ. ჯალაღონია თ. კუჭუხიძე თ. არჩუაძე ქ. სარაჯიშვილი გ. ქვარცხავა	ალუმინის ოქსიდის ფხვნილოვანი კომპოზიტების კონსოლიდაცია მარალტემპერატურულ ვაკუუმურ ღუმელში ცხელი დაწნევის მეთოდით. საქ. მეც. ეროვნული აკადემიის მაცნე-ქიმიის სერია		თბილისი	7

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
10	გ. ათუკიშვილი; ი.ჭანტურია; მ. ხომასურიძე; ზ.გელიაშვილი;	საფურერის ზეგავლენა წითელი ღვინის ფენოლურ ნაერთებზე. საქართველოს ქიმიური ჟურნალი.	№2, (15)	თბილისი ქიმიური საზოგადოება	7

შესწავლილია ალკოჰოლური დუდილისას ცხოველქმედი საფურერების ზეგავლენა წითელი ღვინის ფენოლურ ნაერთებზე. ექსპერიმენტის მიმდინარეობისას, ალკოჰოლური დუდილი განხორციელებული იქნა ველური და კომერციულ მშრალ კულტურული საფურერებით. საკონტროლი და საკვლევი ნიმუშებში განისაზღვრა ცის და ტრანს რეზვერატროლის, მირცეტინის, ქვერცეტინის, საერთო ფენოლების, ანტოციანების შემცველობა. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ფერმენტაციისას არეში ცხოველქმედი საფურერი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ღვინომასალებში ფენოლური ნაერთების შემცველობაზე. მშრალ კულტურულ საფურერების Oenoferm Structure და I.O.C. R-9002 გამოყენებით შესაძლებელია არეში ცის და ტრანს რეზვერატროლის, მირცეტინის, ქვერცეტინის შემცველობის გაზრდა, შესაბამისად მათი გამოყენება რეკომენდირებულია ანტიოქსიდანტური ნაერთებით მდიდარი ღვინის დასამზადებლად. ველური საფურარზე ღვინის დადუღებით, არეში მეტი ანტოციანები ექსტრაგირდება და ნარჩუნდება, ვიდრე კულტურული საფურარის გამოყენების შემთხვევაში. დაძველების პოტენციალის მქონე ინტესიური შეფერილობის და მაღალი ფენოლური ნაერთების შემცველობის ღვინომასალების დასამზადებლად რეკომენდირებულია ღვინის დადუღება როგორც ველურ საფურარზე ასევე ამ მიზნით მიზანშეწონილია SINA Active Yeast 10 -ის გამოყენება.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
11	გ. ათუკიშვილი; ი.ჭანტურია; მ. ხომასურიძე; ზ.გელიაშვილი	ღვინის დავარგება ლექზე. GEORGIAN ENGINEERING NEWS	№2, (vol.74)	თბილისი	6

ღვინის ბატონაჟით წარმოებისა და შამპანურის ტექნოლოგიაში გამოყენებული მეთოდების კომბინაციით შემუშავებული იქნა ბოთლში თეთრი ღვინის დავარგების ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემა. ექსპერიმენტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნა თითოეული მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ღვინომასალების ლექზე დავარგება განხორციელდა ბოთლებში 3, 6 და 9 თვის განმავლობაში. შესწავლილია სხვადასხვა პერიოდით ბოთლში ღვინომასალის დავარგებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესები, ღვინის სხვადასხვა პარამეტრების ცვლილება დინამიკაში და ლექზე დავარგებული

დვინომასალების მიდრეკილება სხვადასხვა სიმღერივებისადმი.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
12	დავით თავხელიძე	ინოვაციური ტექნოლოგიები და მანქანათმშენებლობა	ბიზნეს-ინჟინერინგი №1, 2015	თბილისი	5 გვერდი

II. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ო. ნათიშვილი ი. ყრუაშვილი	Экологические проблемы защиты объектов от вредного воздействия селевых потоков. //Ж. "Экологические системы и приборы"	№7	ქ. მოსკოვი, გამომცემლობა " Научтехлитиздат "	10 გვ.

ნაშრომში განხილულია ღვარცოფული ნაკადის ერთი მიმართულების გრძივი ტალღების გაანგარიშების საკითხი. მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას ნაკადის სიმაღლე ტალღის სიმაღლის გათვალისწინებით.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	G. Tkemaladze, B. Dochviri. G. Sokhadze.	A New Approach to the Estimation of the Parameters of Michaelis – Menten Equation	Vol. 2 №1	Open Journal of Biochemistry	7 გვ.

ბიომოლეკულურ ქიმიურ რეაქციაში მონაწილე ორი რეაგენტისათვის მათემატიკური მოდელი შეცვლილია მინიმალური კონცენტრაციის მქონე რეაგენტის უნიმოლეკულური რეაქციის მოდელით. დამტკიცებელია, რომ მეორე რიგის ქიმიური რეაქციის აღმწერი მოდელი დაიყვანება პირველი რიგის ქიმიური რეაქციის აღმწერ მოდელზე.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	გ. ტყემალაძე	კვლავ უცხო ტერმინთა დაწერილობისათვის	თბილისი, თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის III სამეცნიერო კონფერენცია, 2015,16-17 ნოემბერი
<p>მომხსენებაში განხილულია ქართული და უცხო წარმოშობის ზოგიერთი ტერმინის დაწერილობის, წარმოთქმისა და სემანტიკური შესაბამისობის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზედსართავი სახელების წარმოების -ური და -ული ფორმების მართებულ ფორმებს. ქართულ ენაში, რიგ შემთხვევაში, ორი თანხმოვანის ერთად დგომის აუცილებლობას, აბრევიატურებს, უცხო გვარ-სახელთა სწორ ფორმებსა და სხვ.</p>			
2	Tamar Varazi, Maritsa Kurashvili, Marina Pruidze, Gia Khatisashvili, Nino Gagelidze, George Adamia, George Zaalishvili, Marlen Gordeziani	New Approach of Phytoremediation Perfecting.	International Conference – “Applied Ecology: Problems, Innovations”, Tbilisi-Batumi, Georgia. 7-10 May 2015
3	გ. გაგოშიძე გ. არონიშიძე გ. ლოლუა	“ხატის ტყეები” და ქართული მართლმადიდებელი ეკლესია	აკადემიკოს ი.ფრანგიშვილის დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა - თბილისი, 2015
<p>განხილულია საეკლესიო ანუ ხატის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა და ქართული ეკლესიის როლი მათი დაცვა-შენარჩუნების საქმეში.</p>			
4	გ. გაგოშიძე	საქართველოს ტყეების	საქართველოს მცენარეთა

	გ. ჯაფარიძე რ. ჩაგელიშვილი	გენეტიკური რესურსები	მრავალწლოვანი კულტურებისა და სახეობების გენეტიკური რესურსები. თბილისი 2015
ნაშრომში განხილულია საქართველოს ტყის მერქნიანი მცენარეების გენეტიკური რესურსების ბიომრავალფეროვნება.			
5	გ. გაგოშიძე გ. ჯაფარიძე რ. ჩაგელიშვილი	საქართველოს წაბლის ტყის ნიადაგები	იადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში თბილისი 2015
ნაშრომში განხილულია ეკოტოპიების მიხედვით წაბლის ცალკეული ტყის ტიპისათვის დამახასიათებელი ნიადაგების თავისებურებები.			
6	გ. გაგოშიძე დ. ხახვიაშვილი	ქარსაფარი დაცვითი ტყის ზოლების მდგომარეობა ბოლნისის რაიონის ზოგიერთი აგროფორმის სავარგულებზე.	გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება თბილისი 2015
ნაშრომში განხილულია ზოგადად ქვემო ქართლის რეგიონში და კონკრეტულად ბოლნისში, რაჭისუბანში და ფოლადაურში არსებული აგროფორმებში არსებული ქარსაცავი ზოლების მდგომარეობა, დასახელებულია მდგომარეობის გაუმჯობესების გზები.			
7	გ. გაგოშიძე	ძირითადი აბორიგენი მერქნიანი ტყემცენარეულობის თანამედროვე მდგომარეობა და გაუმჯობესების გზები	გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება თბილისი 2015
ნაშრომში განხილულია საქართველოში ძირითადი აბორიგენი მერქნიანი ტყემცენარეულობის თანამედროვე მდგომარეობა და გაუმჯობესების გზები.			
8	გ. გაგოშიძე	საქართველოს სატყეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი და დარგის განვითარების პერსპექტივები	სამართლებლივი სახელმწიფოს მშენებლობის ამოცანები. მიმართულება – სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის და ქვეყნის სექტორული ეკონომიკის განვითარების პრობლემები. თბილისი 2015
ნაშრომში მოცემულია სატყეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საკანონმდებლო ბაზის არსებული მდგომარეობა და გამოსწორების ღონისძიებები.			
9	N. Jalagonia T. Kuchukhidze	Organic-inorganic composites	4 th International caucasian symposium on polymers and

	T. Korkia G. Kvartskhava R. Chedia	based on nano zero-valent iron.	advanced materials. 1-4 July, Batumi, Georgia. 2015
10	T. Kuchukhidze N. Jalagonia T. Archuadze G. Kvartskhava R. Chedia	Some issues of obtaining corundum ceramics	4 th International caucasian symposium on polymers and advanced materials. 1-4 July, Batumi, Georgia. 2015

ბუცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	N. Jalagonia T. Kuchukhidze G. Kvartskhava E. Sanaia R. Chedia	Impregnation of Zero-valent Iron in biopolymers for remediation of wastewater	1 st int. symp. on advanced materials and technologies for sustainable energy and the enviroment. 4-9 october, Antalya, Turkey. 2015

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე
შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

IV. 2.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	SUAFRI-EPC (FP7-INCO-2013-9, No609553.) Supporting the Uptake of agri-food Research Results into Innovation with EPC countries.	ქართული მხარის კონტაქტ-პერსონა დავით თავხელიძე	დავით თავხელიძე ომარ თედორაძე გივი გოლეტიანი და სხვ	ევროკომისია – 7 ჩარჩო პროგრამა INTELLIGENTSIA CONSULTANTS SARL- Luxemburg. Flavien Messi
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				

სტუ-ს მონაწილეობა აღნიშნულ პროექტში განისაზღვრება:

1. ვაზისა და ვენახების ზონირების შესწავლა;
2. მიკროკლიმატური თავისებურებების განსაზღვრა;
3. ღვინის დაყენების ტექნო-დინამიკური მოდელის შექმნა;

ღვინის ქარხნებში თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის შესაძლებლობების შესწავლა ტექნო-დინამიკური მოდელის გამოყენების საფუძველზე.

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
2	“Prep136-აკადემიური თანამშრომლობა შესაძლებლობების გაზრდისათვის გარემოსდაცვით სწავლებაში” ინჟინერია	ი.ინაშვილი	ი.ყრუაშვილი კ.ბზიავა	ავსტრიის სააგენტო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის განათლებასა და კვლევაში (OeAD-GmbH)
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
<p>1.ორი სამაგისტრო პროგრამა (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) - წყლის რესურსების მართვის მიმართულებით;</p> <p>2.შესაბამისი სასწავლო მასალების მომზადება;</p> <p>3.ელექტრონული და დისტანციური სწავლების პლათფორმის შექმნა;</p> <p>4.აკადემიური პერსონალის სტაჟირება-გადამზადება, ვორქშოპები როგორც საქართველოში აგრეთვე ავსტრიაში;</p> <p>5.მაგისტრებისა და დოქტორანტების გაცვლითი პროგრამების განხორციელება;</p>				